აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, ქალაქ ზუგდიდისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულთან - გუბერნატორთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომის

ოქმი № 3

ქ. ზუგდიდი 09 ივნისი 2017 წ.

რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საბჭოს 31 წევრიდან 24 წევრი. სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ლევან შონია** - სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი;
2. **მამუკა კვიტაშვილი** -აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
3. **პაატა ქურდობანიძე** -აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
4. **გელა ხოშტარია** - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
5. **ლაშა გოგია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
6. **მაიზერ ნანავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
7. **ლაშა ადეიშვილი** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
8. **ალექსანდრე გრიგალავა** - მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
9. **ალექსი გაბისონია** - მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
10. **ვარლამ ქაჯაია** - მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
11. **გოჩა დგებუაძე** - სენაკისმუნიციპალიტეტისგამგებელი;
12. **ჯუმბერ ლაშქარავა** - სენაკისმუნიციპალიტეტისსაკრებულოს თავმჯდომარე;
13. **ბადრი კალანდარიშვილი** -სენაკის მუნიციპალიტეტისსაკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
14. **ბესიკ ესებუა** - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
15. **კობა ჯიქია** - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
16. **ბესიკ ფარცვანია** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
17. **თემურ ღვინჯილია** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
18. **გონერ კვარაცხელია** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
19. **გოჩა ქაჯაია** - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
20. **ედიშერ ჯობავა** - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
21. **ალექსანდრე თოფურია** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
22. **ირაკლი გოგოხია** - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი;
23. **ნატალია შეროზია** - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
24. **თაზო ფაცაცია** - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომის მუშაობას ესწრებოდნენ:

1. **მაკა ფიფია** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში (სხდომის მდივანი).
2. **დათო კოდუა** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის მოადგილე.
3. **ნუგზარ გაბელია** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი.
4. **იასონ შეროზია** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსის მოადგილე.
5. **ირაკლი ცანავა** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
6. **აკაკი სარალიძე** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აპარატის უფროსის მოადგილე.
7. **პაატა ლაგვილავა** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აპარატის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

სახელმწიფო რწმუნებულმა - გუბერნატორმა სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი:

1. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის 2017 წლის პირველი კვარტალის მიმდინარეობის თაობაზე:
   - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტები, მათი მიმდინარეობა და ზოგადი ანალიზი.

2. 2015 – 2017 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში ცვლილებების შეტანის მიზნით კორექტირებული სამოქმედო გეგმის განხილვისა და მოწონების თაობაზე.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოთქმულა, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით სამხარეო სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსის ნუგზარ გაბელიას ინფორმაცია, რომელმაც განმარტა, რომ ამავე სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლის სტრატეგიის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის 2017 წლის პირველი კვარტალის სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის ანალიზი.

ნუგზარ გაბელიამ საკონსულტაციო საბჭოს მოახსენა, რომ რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (შემდგომში „რგპფ“) მიერ და მუნიციპალიტეტების თანადაფინანსებით

დღეის მდგომარეობით დაფინანსებულია 69 პროექტი, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 31 060861 (ოცდათერთმეტი მილიონ სამოცი ათას რვაასსამოცდაერთი) ლარს, მათ შორის „რგპფ“: 22 380 824 (ოცდაორი მილიონ სამასოთხმოცი ათას რვაასოცდაოთხი) ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტების თანადაფინანსებამ შეადგინა 8 680 037 (რვა მილიონ ექვსასოთხმოცი ათას ოცდაჩვიდმეტი) ლარი.

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ მომზადებულ იქნა 2014 2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის 2015 -2017 წლების სამოქმედო გეგმაში ცვლილების შეტანის მიზნით კორექტირებული პროექტი.

ნუგზარ გაბელიამ აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმაში ცვლილების განხორციელება ძირითადად გამოწვეულია მუნიციპალიტეტების მუშაობის პროცესში გამოვლენილი ახალი პრიორიტეტული მიმართულებებით, რამაც გამოიწვია (სამოქმედო გეგმა 2015-2017 წლებისთვის) დამატებით ახალი პროექტების ასახვა და არსებული პროექტების კორექტირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასაფინანსებელ პროექტებში შესატანია შემდეგი ცვლილებები:

1. **ზუგდიდის მუნიციპალიტეტი:**

რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში თავისუფალი ზონის ტერიტორიაზე გზის, სკვერის, ავტოსადგომის, სადრენაჟე სისტემის, წყალკანალიზაციის, გამწმენდი ნაგებობის (სეპტიკის) და საზოგადოებრივი რეტრატის (საპირფარეშოს) მოწყობის სამუშაოები ვერ განხორციელდება, რადგანაც საქართველოს გაერთანებული ელექტროსისტემის მიერ გაცემული უარყოფითი დასკვნა აღნიშნულ ობიექტზე შეუძლებელს ხდის პროექტის განხორციელებას, შესაბამისად სამოქმედო გეგმაში აღნიშნული პროექტის ნაცვლად განიხილება სხვა პროექტებით ჩანაცვლება, კერძოდ:

1. რელიგიური ტურიზმის სტიმულირებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, კორცხელის ადმინისტრაციულ ერთეულის ცენტრში არსებული ივერიის ღვთისმშობლის სახელობის დედათა მონასტრის დაზიანებული შენობის რეაბილიტაცია 304 422 ლარი.

2. ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაციის (მესამე ეტაპი) 186 544 ლარი.
3. კორცხელის ადმინისტრაციულ ერთეულში მოწყობილი წყალმომარაგების დამატებითი სამუშაოების ჩატარება 50 792 ლარი.

აღნიშნულ პროექტებზე მუნიციპალიტეტს გააჩნია დასახლების კრების ოქმი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება პროექტების მოწონების შესახებ.

2. ხობის მუნიციპალიტეტი:

ხობის მუნიციპალიტეტიში წლების განმავლობაში შუა ხორგის, ქარიატისა და ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობა უწყლობის გამო იმყოფება გაუსაძლის მდგომარეობაში, რის გამოც არაერთგზის იყო წერილი შემოსული მუნიციპალიტეტის გამგეობაში. მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს ზემოთ აღნიშნული ადმინისტრაციული ერთეულებისთვის წყალსადენი ქსელის მოწყობა. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული, საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში გზის სარეაბილიტაციო (ცემენტობეტონის საფარის მოწყობის) სამუშაოებისთვის განსაზღვრული თანხა მცირდება 600 000 ლარით და მიიმართება წყალსადენი სისტემის ქსელის მოწყობის სამუშაოებზე; შესაბამისად აღნიშნული პროექტების დაფინანსება მიმდინარე წელს უნდა განისაზღვროს შემდეგი მოცულობით: საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში გზის სარეაბილიტაციო (ცემენტობეტონის საფარის მოწყობის) სამუშაოები - 500 000 ლარი, შუა ხორგის, ქარიატისა და ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალსადენი სისტემის ქსელის მოწყობის სამუშაოები - 600 000 ლარი; ორივე პროექტი განსახორციელებელი იქნება მრავალწლიანი შესყიდვის წესით და დასრულდება 2018 წელს.

რაც შეეხება ხამისკურის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში არსებული მინი სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, მუნიციპალიტეტი ითვალისწინებს ხამისკურის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობისა და ახალგაზრდების ძირითად მოთხოვნას ხამისკურის ცენტრში არსებული მინი სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, რითაც მოზარდ თაობას ექნება შესაძლებლობა იცხოვრონ ჯანსაღი ცხოვრების წესით. აღნიშნული პრობლემები არაერთხელ დაფიქსირდა მოსახლეობასთან შეხვედრების დროს. პროექტის ღირებულება შეადგენს 57 128 ლარს.

განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით არსებობს მოსახლეობის კრების ოქმები, სამოქმედო გეგმის შესაბამისად მომზადებული პროექტების აღწერის ფორმები და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება.

აზრი გამოთქვა: სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარემ და აღნიშნა, რომ დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების განხორციელება მეტად მნიშვნელოვანია რეგიონის განვითარებისათვის და მოსახლეობის სოც-ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს განიხილონ წარმოდგენილი პროექტი და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები.

საბჭოს წევრების მიერ განხილულ იქნა პროექტი და შენიშვნები არ გამოთქმულა.

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის 2014 – 2021 წლების განვითარების სტრატეგიის 2015-2017 წლის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა (თან ერთვის ელ.ვერსია CD დისკი სახით).
2. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმა განსახილველად წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შედეგად სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გამოაცხადა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე /ლ. შონია/

სხდომის მდივანი /მ. ფიფია/